ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2549379

ნომერი: AR1395917

თარიღი : 12.04.2016

გაცემის თარიღი : 22.04.2016

გაცნობის თარიღი : 22.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გ. ჭყონდიდელი , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგა სანაია პ/ნ 01018003506
- თბილისი ი.ქუთათელაძის 6 ბინა 4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2016 წლის 12 აპრილის #AR1395917 განცხადება, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.12.12.024.198 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას და გაცნობებთ შემდეგს:

აღნშნული ტერიტორია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს სატრანსპორტო ზონა 1–ში (ტზ–1)–ში და სამრეწველო ზონა 1 (ს-1) –ში;

კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ფუნქციური ზონები არ ითვალისწინებს შერჩეული სახეობის სამშენებლო განვითარებას, გამომდინარე აქედან შესაძლებელია მთლიან ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის დაყენება, რომელიც უნდა განიხილოს „ქ. თბილისი ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ“, რომლის წევრთა დადებითი რეკომენდაციების შემთხვევაში საკითხი გადაგზავნილ იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად და დადებითი პასუხის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება მინიჭებული ფუნქციური ზონის შესაბამისად.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე თქვენ პირველ რიგში საკითხი უნდა ატვირთოთ ფუნქციური ზონის ცვლილების შესაბამის ველში www.tas.ge-ze >ელექტრონული განცხადებები > ქალაქგეგმარება > ფუნქციური ზონის ცვლილება.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.